

საბირჟო საქმიანობის ინფორმაციული მხარდაჭერა

მედეა თევდორაძე¹, მაია სალთხუციშვილი¹, მარინა გელევანიშვილი²,
ნინო ლოლაშვილი¹

1 – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,

2 – კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

რეზიუმე

თანამედროვე საბირჟო საქმიანობა ხასიათდება ჭარბი ინფორმაციული ნაკადების არსებობით. ნებისმიერი ტიპის ბაზარს გამართული მუშაობისთვის სჭირდება მძლავრი ინფორმაციული ინფრასტრუქტურა. ბაზრის მუშაობის ინფორმაციულ მხარდაჭერაში, გარდა თავად ბირჟისა, ჩართულია მრავალი სხვა ორგანიზაცია. ისინი ასრულებს ინფორმაციის დამუშავების საკმაოდ რთულ ოპერაციებს. სტატიაში განხილულია ბაზრების ინფორმაციული ინფრასტრუქტურის კომპონენტები და სეგმენტები; გამოყენებადი დოკუმენტები; ინფორმაციის სახეობები. დახასიათებულია ბირჟის ინფორმაციული სამსახურის ფუნქციები და ის ფუნქციები, რომლებსაც ასრულებს ბირჟის ინფორმაციის საკითხებში მხარდაჭერი სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციები. განხილულია საბირჟო სისტემაში ინფორმაციის გადაცემის არხები და მეთოდები.

საკვანძოსიტყვები: ბირჟა. ინფორმაციული უზრუნველყოფა. ინფორმაციული ინფრასტრუქტურა. ინფორმაციული სისტემა

1. შესავალი

ბირჟა წარმოადგენს რთულ სისტემას, რომლის ელემენტები ერთდროულად წარმოშობენ და მოიხმარენ დიდი მოცულობის ინფორმაციას. თანამედროვე ბაზრების არსებობა წარმოუდგენელია ინფორმაციული მხარდაჭერის გარეშე, ამიტომაც ამა თუ იმ ბაზართან ერთად ფორმირდება ინფორმაციული ბაზარი თავისი მონაწილეებით და ინფრასტრუქტურით. ბაზრების შესახებ ინფორმაციის შეგროვებით დაკავებულები არიან სპეციალიზირებული ორგანიზაციები: საინფორმაციო სააგენტოები; ბანკების, ბირჟების, საფინანსო კომპანიების ინფორმაციულ-ანალიტიკური განყოფილებები; ჟურნალები, რედაქციები და გაზეთები. ინფორმაციის მიწოდება წარმოებს სხვადასხვა გზით. ეს შეიძლება იყოს საბეჭდი გამოცემები, ტელე-, რადიო-, სატელეფონო არხები და ასევე გლობალური კომპიუტერული ქსელები. ბაზრების ინვესტორებსა და სხვა მონაწილეებს შეუძლიათ ისარგებლონ ინფორმაციის სხვადასხვა წყაროთი მათი მიზნებისა და თანხების მიხედვით, რომელსაც ისინი იხდიან მიწოდებული ინფორმაციისათვის. განვიხილოთ ბირჟების ინფორმაციული ინფრასტრუქტურა.

2. ძირითადი ნაწილი

როგორც უკვე ავლნიშნეთ, ნებისმიერ ბაზარს სჭირდება საკუთარი ინფორმაციული ბაზარი თავისი მონაწილეებით და ინფრასტრუქტურით. ბირჟის ინფორმაციული ინფრასტრუქტურა – არის ბაზრის შესახებ ინფორმაციის დაგროვების, გაძლიერების და მისი პროფესიონალების, ემიტენტებისა და ინვესტორებისათვის მიწოდების სისტემა. ის წარმოადგენს შემდეგი კომპონენტების ერთობლიობას [1]:

- ცენტრები, სადაც სრულდება ინფორმაციის დამუშავება და ანალიზი,
- ინფორმაციული გაცვლის არხები და კომუნიკაციები,
- ინფორმაციის დაცვის სისტემები და საშუალებები და ა.შ.

ინფორმაციული ინფრასტრუქტურის სეგმენტებს წარმოადგენს:

- საბირჟო, საფინანსო და სხვადასხვა სახის სპეციალიზირებული პრესა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, რომელსაც გააჩნია ინფორმაცია ბაზრის მდგომარეობის შესახებ;
- სპეციალიზირებული გამოცემები;

- სამთავრობო გამოცემები და სტატისტიკური ანგარიშგება, საერთაშორისო ანგარიშგება;
- სარეიტინგო სააგენტოების მონაცემები (რისკების შეფასების სარეიტინგო სისტემები);
- ბაზარზე ამა თუ იმ საქონლის განთავსების ანგარიშების პროსპექტების პუბლიკაციები, საქონლის გამოშვებისა და ბრუნვის პროსპექტები, ბაზრის ფინანსური ანგარიშგების და ემიტენტების შესახებ ინფორმაცია;
- ბირჟების გარეთა ამა თუ იმ ტიპის ორგანიზებული სისტემების მიმდინარე ინფორმაცია, შიდა და ბირჟასთან არსებული ინფორმაციის გავრცელების სისტემები (საინფორმაციო-სადილინგო სისტემები, საინფორმაციო ქსელები);
- საფონდო ინდექსები და მათი მხარდაჭერის და ინდექსების დინამიკის შესახებ მონაცემების დისტრიბუციის სისტემები;
- შეფასებითი და პროგნოზული მასალები, რომელსაც ავრცელებენ კლიენტებს შორის საინვესტიციო კონსულტანტები;
- მსხვილი ბანკების და ფასიანი ქაღალდების კომპანიების ანალიტიკური განყოფილებების შეფასებითი და პროგნოზული მასალები ანალიტიკური ანგარიშების ჩათვლით;
- ამა თუ იმ საქონლის ბაზრის მდგომარეობის შემფასებელი მაჩვენებლების სისტემა;
- სხვადასხვა აზრები, შეფასებები, არაფორმალური ინფორმაცია;
- გლობალური ქსელი – ინტერნეტი;
- საერთაშორისო ბაზრების საინფორმაციო ქვესისტემები;
- ბაზრების სპეციალიზირებული მონაცემთა ბაზები მათი წარმოების, გაძღოლის და შეტყობინებების მიწოდების სისტემებით.

ინფორმაციული ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ინფორმაციის გასაჯაროებას ბაზარზე, ბაზრის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ხასიათდება ისეთი ცნებით, როგორც არის „ბაზრის ეფექტიანობა“. გახსნილი ინფორმაცია საკმარისი უნდა იყოს ინვესტორის მიერ გადაწყვეტილების მისაღებად და უნდა იყოს წარმოდგენილი გასაგები ფორმით. ინვესტორები არ უნდა იყვნენ შეყვანილი შეცდომაში ემიტენტების, საქონლის გამყიდველების და ბაზრის სხვა პროფესიონალების მიერ. ამასთან დაკავშირებით ბირჟაზე არსებული საქონლის პროსპექტი უნდა იყოს განხილული, პირველ რიგში, როგორც დოკუმენტი, რომელიც ასაჯაროებს ინფორმაციას და მხოლოდ ამის მერე, როგორც დოკუმენტი, რომლის საფუძველზე წარმოებს გაყიდვა.

გარდა პროსპექტისა ოპერატიულ-საინვესტიციო გადაწყვეტილებების მისაღებად ინფორმაციის უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს შემდეგი დოკუმენტები: ზოგადი და სპეციალური დანიშნულების გაზეთების საფინანსო გვერდები; საფინანსო ბაზრის ქვესისტემების გლობალურ ქსელში განთავსებული ელექტრონული გვერდები, რომლებიც მუშაობენ რეალური დროის რეჟიმში; კომპანიების წლიური ანგარიშები, რომლებიც, როგორც წესი, მოიცავენ კვანძოვანი ინდიკატორების გარკვეულ ნაკრებებს, რომლებიც დგინდება კანონმდებლობით და ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებით. მათი საშუალებით შესაძლებელია სხვადასხვა კომპანიების საქმიანობის შედარება, განსაკუთრებით თუ ისინი ერთ დარგს მიეკუთვნება.

ზოგადად, ინფორმაცია ინვესტორებისათვის შეიძლება დაჯგუფდეს ისე, რომ თითოეული სახეობა მიეკუთვნებოდეს ინვესტირების პროცესის ერთერთ უმნიშვნელოვანეს მხარეს [2]:

1. ეკონომიკური და ზოგადპოლიტიკური ინფორმაცია - იძლევა ზოგად ფონს ასევე ფაქტიურ მასალას ეკონომიკის, პოლიტიკის და სოციალური სფეროს ტენდენციების პროგნოზირებისათვის ზოგადად ქვეყნის და მსოფლიოს მასშტაბით. ასეთი ინფორმაცია სჭირდება ყველა ინვესტორს, ვინაიდან ის არის საკუთარი გარემოს შეფასების საფუძველი, რომლისთვისაც წარმოებს გადაწყვეტილების მიღება;

2. ინფორმაცია დარგისა და კომპანიის მდგომარეობის შესახებ, რომელიც იძლევა ფაქტიურ სურათს და საპროგნოზი მონაცემებს დარგისა და კომპანიის განვითარების შესახებ - ეს მონაცემები გამოიყენება ინვესტორების მიერ ამ კომპონენტების ფარგლებში საქმის მსვლელობის შეფასებისათვის;

3. ინფორმაცია სხვადასხვა საფინანსო ინსტრუმენტების და ასევე რეალურ აქტივებში შენატანების შესახებ - უზრუნველყოფს მონაცემებს მათი ქცევის პროგნოზირებისათვის;

4. ინფორმაცია ფასების შესახებ - მოიცავს ფასების მიმდინარე კოტირებებს სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტებისათვის. ამ კოტირებებს, ჩვეულებრივ, თან სდევს ბოლო პერიოდის სტატისტიკური მონაცემები მოცემული ინსტრუმენტებისათვის ფასების დინამიკის შესახებ;

5. ინდივიდუალური შენატანები - ინფორმაცია შენატანების სტრატეგიის შესახებ - შედგება რეკომენდაციებისაგან საინვესტიციო სტრატეგიის ვარიანტების და ფინანსური ინსტრუმენტების ოპერაციების შესახებ. მთლიანობაში, ეს უკვე არის ანალიტიკური ინფორმაცია.

განვიხილოთ ბირჟის საინფორმაციო სამსახურის ფუნქციები:

- საფინანსო ბაზრის და მისი ცალკეული სექტორების კონიუქტურის ანალიზი და პროგნოზი მაკროეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური სიტუაციის ცვლასთან დაკავშირებით;

- ყოველთვიური და ყოველკვარტალური, წლიური მიმოხილვების გამოშვება, რომლებიც მოიცავენ ინფორმაციას რეიტინგების, კომპანიების საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ, ანალიტიკურ ინფორმაციას ბაზრის კონიუქტურის შესახებ და ა.შ.;

- ინვესტორების და სხვა ანალიტიკური ინფორმაციის მომხმარებლების მიმდინარე საცნობარო-საინფორმაციო მომსახურება საფინანსო ბაზართან დაკავშირებით.

თავად საბირჟო პროცესის მართვას გააჩნია სამდონიანი მართვის სისტემა, რომელიც მოიცავს ოპერატიულ, ტაქტიკურ და სტრატეგიულ მართვას [3]. თითოეული დონე მოიცავს ინფორმაციის დაგროვებას, ანალიზს და სხვა ძირითადი ფუნქციების რეალიზაციას. 1-ელ ცხრილში წარმოდგენილია საბირჟო ინფორმაციის და მისი ანალიზის სახეობები, მიზნები, რომელსაც ემსახურება ანალიზი, და შედეგები.

ცხრ.1

მართვის დონე	ინფორმაციის შიგთავსის წყარო	ანალიზის ოპერაციები	ამონაცხები	შედეგები
ოპერატიული	განაცხადების რევის-ტრაცია, განაცხადების ფორმირება	განაცხადების კლასი-ფიკაცია და შერჩევა ვაჭრობისათვის	ვაჭრობები, რეკლამა	კონტრაქტები, ხელშეკრულებები
ტაქტიკური	საქონელი, ფასები სხვა ბირჟებზე, საბროკერო კანტორების ინფორმაცია	ინფორმაციის კლასიფიკაცია	ვაჭრობის დროს სიტუაციის შეფასება, რეკომენდაცია მოიცავს ფასებს, საქონლის კომბინაციას	ვაჭრობის წესები, ინსტრუქციები, რეკომენდაციები, სწავლება, განმარტება, ბროკერების დამხმარე სისტემები
სტრატეგიული	საქონლის, ტექნოლო-გიების სტრატეგიის განვითარების ტენდენ-ცია, ბირჟების ინფორ-მაცია საკუთარ და უცხოურ ბაზრებზე	სტატისტიკური ანალიზი, იმპტაციური მოდელირება	ბირჟის საქმიანობის მიმართულებების შეფასება, ბირჟის განვითარება, გაყიდვების პროგნოზი.	გეგმები, კვლევები

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება მოვიყვანოთ ბირჟის ინფორმაციული სისტემის დახასიათება, რომელიც განკუთვნილია იმ ინფორმაციის

ცენტრალიზებული დაგროვების, შენახვის და დამუშავების ოპერაციების შესარულებლად, რომელიც სჭირდება თავად ბირჟის, მისი საბროკერო ფირმების ფუნქციონირებისათვის და ვაჭრობების ჩასატარებლად [4]. ინფორმაციულ სისტემაში უნდა იყოს გათვალისწინებული: საბროკერო ფირმების საქმიანობა კლიენტების მომსახურების თვალსაზრისით და თანმხლები დოკუმენტების მომზადებით; ბირჟაზე საბროკერო ფირმიდან განაცხადების გადაცემა; საბირჟო უწყისების ფორმირება და მათი კორექტირება; დოკუმენტების მომზადება რეგისტრაციისათვის და ა.შ.

როგორც უკვე ავლინებთ, ბირჟის ინფორმაციულ მხარდაჭერაში აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა სააგენტოები. მსოფლიოში არსებობს მრავალი მსგავსი ტიპის სააგენტო. დავახსიათოთ მათი ძირითადი ამოცანები.

მომხმარებლებს ეძლევათ საშუალება ისარგებლონ სააგენტოების მონაცემთა ბაზებით ამომწურავი ინფორმაციით (საარქივო და მიმდინარე) ბანკების, საფინანსო კომპანიების, და ასევე საფინანსო ბაზრის ყველა სეგმენტის შესახებ. რეგისტრირებული მომხმარებლებისათვის, როგორც წესი, ხელმისაწვდომია ასევე ის პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც იძლევა საშუალებას ჩატარდეს მონაცემთა ანალიტიკური დამუშავება და ტექნიკური ანალიზი.

შემდეგ მოყვანილია მოცანებების და მიმართულებების ჩამონათვალი, რომელზედაც მუშაობენ სააგენტოები:

- აქტუალური ეკონომიკური და პოლიტიკური სიახლეები, ბაზრების სიახლეები;
- სახელმწიფო ორგანოების შეტყობინებები;
- კორპორაციული სიახლეები, საფინანსო ინსტიტუტების სიახლეები;
- საფინანსო და სასაქონლო ბირჟების მდგომარეობის ექსპრეს-ანალიზი;
- მონაცემები ვალუტის, წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებისა და ფასიანი ქაღალდების კოტირების თაობაზე, ფინანსური ბაზრების საპროცენტო განაკვეთები, ნედლეულისა და სასაქონლო ბაზრების ფასები, საფონდო ინდექსები;
- ინფორმაცია თამასუქებისა და მათი ბაზრის შესახებ;
- ანალიტიკა - ბაზრის ანალიტიკური მიმოხილვა, ტექნიკური ანალიზი, პროგნოზები, გრაფიკები;
- ეკონომიკა - მაკროეკონომიკა, წარმოება, გარე ვაჭრობა, ინფლაცია, ინვესტიციები, ფინანსები, პრივატიზაცია;
- ბირჟები - საბირჟო კოტირებები რეალურ დროში, წამყვან სავაჭრო მოედნებზე ვაჭრობის შედეგები.

სააგენტოები იყენებს სხვადასხვა ინფორმაციის მიწოდების ფორმებს: ქაღალდის ვარინტიდან კომპიუტერულ სისტემამდე, რომელიც მუშაობს რეალურ დროში. გამოიყენებს ინფორმაციის მიწოდების სხვადასხვა არხებს: სატელეფონო, გლობალური ქსელი, საკუთარი სატელეკომუნიკაციო ქსელი. ბოლო წლებში ბაზრებს საინფორმაციო მომსახურების თვალსაზრისით თავის სერვისს ასევე აწვდის ბანკთაშორისო სატელეკომუნიკაციო ქსელი SWIFT.

SWIFT (Society for Worldwide Interbank Financial Telecommunication), შეიქმნა 1973 წელს დასავლეთ ევროპისა და ჩრდილო ამერიკის 240 უმსხვილესი ბანკის მიერ. ამ ორგანიზაციამ შექმნა გლობალური კავშირის სისტემა ბანკებისა და საფინანსო ორგანიზაციებისათვის. მან ჩაანაცვლა მოძველებული არაეფექტური საფინანსო დოკუმენტების გადაცემის ფორმები კომპიუტერების საშუალებით გაცვლის ელექტრონული ფორმით. SWIFT-ის საქმიანობა ისე წარმატებულად ვითარდებოდა, რომ მალე მან მიიღო მსოფლიო საფინანსო საზოგადოების მხარდაჭერა. დღეს SWIFT-ს გააჩნია მრავალი მიმდევარი მსოფლიოს 100-ზე მეტი ქვეყანაში. SWIFT-ს დამსახურებაა, რომ დამუშავდა საერთაშორისო სტანდარტები გადაცემადი საფინანსო

დოკუმენტების სხვადასხვა სახეობისათვის, რაც ჯამში იძლევა საშუალებას ოპერატიულად ჩატარდეს საერთაშორისო გარიგებები კონტრაგენტებთან სხვადასხვა ქვეყნიდან.

SWIFT-ის სისტემა მოიცავს მთელ რიგს ელემენტებს:

- ორი კომპიუტერული ცენტრი (დასავლეთ ევროპაში და ჩრდილო ამერიკაში), რომლებიც ურთიერთობენ სპეციალური გეოსტაციონარული თანამგზავრული კავშირის მეშვეობით;
- რეგიონალური პროცესორების სიმრავლე, რომლებიც დაკავშირებულია მმართველ პროცესორებთან და რომლებიც უზრუნველყოფს მომხმარებლების დაშვებას სისტემის რესურსებთან;
- ინტერფეისული სისტემების სიმრავლე, რომელიც დაკავშირებულია რეგიონალურ პროცესორებთან და დაყენებულია უშუალოდ მომხმარებლის მხარეს; მათი საშუალებით მომხმარებლებს შეუძლიათ მიიღონ, გადასცენ და დააშუშონ შეტყობინებები.

ინტერფეისის სისტემების დასაშუშავებლად, ქსელთან მათი მიერთების და ტექნოლოგიური მომსახურების მიზნით შექმნილია სპეციალური კომპანია SWIFT Terminal Services (STS).

თავდაპირველად, SWIFT-ი იქმნებოდა როგორც კომუნიკაციური სისტემა, რომელიც ასრულებდა სპეციალური დანიშნულების ელექტრონული ფოსტის ფუნქციას. შემდეგ მან დაიწყო ბანკთაშორისო ანგარიშსწორების შესრულება. მსხვილ ბანკებს, რომლებიც იყენებდა SWIFT-ს, დაჭირდა სისტემები, რომლებიც იმუშავებდა უნივერსალურ ვალუტასთან ან მათ ექვივალენტებთან. რეგიონალურ ბანკთაშორისო გაერთიანებებს, რომლებსაც გააჩნდა საკუთარი საკლირინგო პალატები, დაჭირდა ანგარიშსწორება სხვა გაერთიანებებთან. ამის შედეგად ევროპის რამდენიმე საკლირინგო ბანკის ინიციატივით შეიქმნა საკლირინგო ცენტრი „ეკიუთი ანგარიშსწორების სისტემა“ (EcuClearingSystem - ECS). შემდეგ SWIFT-ის ძალებით დაშუშავდა ბანკთაშორისო ანგარიშსწორების უნივერსალური სისტემა ACCORD, რომელიც უზრუნველყოფდა ინტეგრაციას SWIFT-ში და ასევე ნებისმიერ სხვა საბანკო ტელეკომუნიკაციების სისტემაში, რომელიც იყენებდა SWIFT-ის მსგავს კავშირების ოქმებს. გარდა ამისა, ACCORD-ი უზრუნველყოფს ფინანსური გატარებების დადასტურების ავტომატურ კონტროლს, რომლებიც პასუხობენ სავაჭრო ოპერაციებს საერთაშორისო ბაზრებზე.

3. დასკვნა

ბირჟის საქმიანობაში ერთერთ უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა ინფორმაციული მხარდაჭერის უზრუნველყოფა. შეიძლება აღინიშნოს, რომ ბირჟის ინფორმატიზაცია დაიწყო ზუსტად ამ მიზნებით. ინფორმაციული მხარდაჭერა მოითხოვს ისეთი პროცედურების ჩატარებას და პარამეტრების მიღებას, როგორიცაა მონაცემთა კორექტირება, ობიექტურობა, ჭეშმარიტება, ინფორმაციასთან დაშვების სანქციონირება, სისტემის მდგრადობა და დაცულობა ვირუსებისგან [5].

საინფორმაციო ბაზარზე მუშაობს მრავალი საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო, რომელიც ინტერნეტ-ქსელის საშუალებით აწვდის ინფორმაციას ელექტრონული სახით. თითოეულ ორგანიზაციას გააჩნია თავისი ვებ-გვერდი, სადაც ის აქვეყნებს ინფორმაციას საკუთარი თავისა და საქმიანობის შესახებ, ამასთან ერთად ინტერნეტის ფართო გამოყენებამ ხელი შეუწყო მომსახურების სპექტრის გაფართოვებას საფინანსო სექტორში. დღეისათვის საფინანსო და საქმიანი ინფორმაციის გადაცემა ინტერნეტის საშუალებით წარმოადგენს ყველაზე სწრაფ, თანამედროვე და ეფექტიან ხერხს.

ლიტერატურა:

1. Ценные бумаги. Под ред. В.И.Колесникова и В.С.Торкановского. М., „Финансы и статистика“. 2000
2. Уильям Ф.Шарп, Гордон Дж. Александер, Джефри Б.Бэйли. Инвестиции. Пер. с англ. М., Инфра-М., 2003

3. საბირჟო საქმე და ფასიანი ქაღალდების ბაზარი. ვ. სვანაძის საერთო რედაქტირებით. თბილისი, სს „კავკასიის ბირჟა“. 1998

4. Вдовин В.М., Суркова Л.Е., Шурупов А.А. Предметно-ориентированные экономические информационные системы. М., Дашков и К., 2008

5. Смирнова Г.Н., Сорокин А.А., Тельнов Ю.Ф. Проектирование экономических информационных систем. М., „Финансы и статистика“. 2003.

INFORMATION SUPPORT OF EXCHANGE ACTIVITY

TevdoradzeMedea¹, Saltkhutsishvili Maia¹, Gedevanishvili Marina²,
Lolashvili Nino¹

1- Georgian Technical University,

2- Caucasian International University

Summary

Activity of a modern exchange is characterized by rich information flows. For proper work of any type of market it needs a powerful information infrastructure. Many other organizations are included in information support of exchange. These organizations execute highly complex data processing protocols. In this article there are discussed different questions: components and segments of information infrastructure of markets; used documents; types of information. There are characterized functions of information service of exchanges and the functions that perform various types of organizations that in the field of information support the activities of the exchange. There are considered channels and methods of information transmission in the exchange.

ИНФОРМАЦИОННАЯ ПОДДЕРЖКА БИРЖЕВОЙ ДЕЯТЕЛЬНОСТИ

Тевдорадзе М.¹, Салтхуцишвили М.¹, Гедеванишвили М.²,
Лолашвили Н.¹

1-Грузинский Технический Университет,

2-Кавказский Международный Университет

Резюме

Деятельность современной биржи характеризуется наличием насыщенных информационных потоков. Для правильной работы рынка любого типа ему необходима мощная информационная инфраструктура. Кроме самой биржи в информационную поддержку включены множество других организаций. Эти организации осуществляют весьма сложные процедуры обработки информации. В данной статье рассмотрены: компоненты и сегменты информационной инфраструктуры рынков; используемые документы; виды информации. Охарактеризованы функции информационной службы биржи и те функции, которые выполняют различного типа организации, поддерживающие деятельность биржи в информационной сфере. Рассмотрены каналы и методы передачи информации в биржевой системе.